572
1969/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვი

1969 ივნისი N6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცი სიტყვა-შეასრულე კიდეც!

ნ. ხოძა

ნახატი ე. აფანასიევასი

აი, რა მოხდა ერთხელ:

მეფის ხელისუფლებამ ლენინი დააპატიმრა და ციმბირში გადაასახლა. იგი ერთ მიყრუებულ სოფელში მოხვდა.

მეორე სოფელში ერთი გადასახლებული რევოლუციონერი ცხოვრობდა, გვარად— ლეპეშინსკი.

ერთხელ ლეპეშინსკი ლენინს ესტუმრა:

— ჰადრაკი ხომ არ ვითამაშოთ, ვლადიმერ ილიჩ?—შესთავაზა ლეპეშინსკიმ.

— სიამოვნებით,—მიუგო ლენინმა,—კარგია, რომ ჰადრაკის წამოღება არ დაგვიწყებიათ. ჩემი ჰადრაკი პეტერბურგში დავტოვე.

ლეპეშინსკიმ ხელი ხელს შემოჰკრა:

— მეც პეტერბურგში დამრჩა, აფსუს!—აქ ჰადრაკის შოვნა შეუძლებელია!

— ნუ სწუხართ.—უთხრა ლენინმა,—ჩემიანები გამომიგზავნიან, უკვე მივწერე. ასე რომ, მოემზადეთ. ახალ წელს ჰადრაკს ვითამაშებთ. გპირდებით!

ლეპეშინსკი მაშინვე გამხიარულდა.

— რაკი თქვენ მპირდებით, მაშასადამე, ასეც იქნება!

ლეპეშინსკი თავის სოფელში გაემგზავრა.

გადის ერთი თვე, გადის მეორე, ამანათი არა ჩანს. ახალ წლამდის კი სულ რაღაც დათვლილი დღეებიდაა. რა ჰქნას, სად იშოვოს ლენინმა ჰადრაკი? არ ყოფილა შემთხვევა, ლენინს თავისი დაპირება არ შეესრულებინოს.

და აი, მოვიდა ახალი წელი. ლენინი ლეპეშინსკისთან ჩავიდა.

— ალბათ ჰადრაკი მოიტანეთ, არა? შესანიშნავია!—მისალმებისთანავე ჰკითხა ლეპეშინსკიმ.

— წარმოიდგინეთ, ამანათი დღემდე არა ჩანს.

ლეპეშინსკის გულს შემოეყარა.

ვლადიმერ ილიას ძე კი პატარა ჩემოდნიდან იღებს ჰადრაკის თვითნაკეთ დაფასა და ფიქვის ქერქისაგან გულდასმით გამოთლილ ფიგურებს. აი, მეფე, აი, დედოფალი, აი, პაიკი...

ლეპეშინსკი თვალს არ უჯერებს:

— რა საოცარია, რა კარგია!

— მოგწონს?—ეკითხება ლენინი!

— მომწონს და მერე როგორ! ვის გააკეთებინეთ!

— მე გამოვთალე.

ლეპეშინსკის გაკვირვებისაგან ენა დაება. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— როგორ გააკეთეთ? ვინ გასწავლათ?..

— ანდაზამ მასწავლა,—იცინის ლენინი.

— როგორ თუ ანდაზამ?!

— არის ასეთი რუსული ანდაზა,—ამბობს ლენინი,—ბავშვს კვეს ნუ დაჰპირდები და თუ დაჰპირდი, კიდეც მიეცი!. ახლა კი ჰადრაკი ჩვენს ხელთაა, შევუდგეთ საქმეს!

თარგმნა ნინო თოფჩიშვილმა

10.971.

ზ ე ი მ ზ ე — ნახატი **გოჩა ჩარქსელიანისა**, 6 წლის. ამბროლაურის რაიონი, სოფ. ურავი.

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ს დ ღ ე ს ა ს წ ა ულ ი — ნახატი **დალი ბენდიანიშვილისა**, 6 წლის. გაგრა.

გ ა ზ ა ფ ხ ულ ი — ნახატი **ნათელა დარჩიაშვილისა**, 8 წლის. რუსთავი.

გავშვებო, ამ ნახატებით თქვენი თანაგრძნობა ვინ გავგზავნა საერთაშორისო დაცვის დღეს.

გ ა რ ე უ ბ ა ნ ი — ნახატი **მაია ჭყონიასი**, 10 წლის. თბილისი.

მ ზ ი ა ნ ი დ ღ ე — ნახატი **მედეა დიდმანიძისა**, 5 წლის. ბათუმი.

ნატურმორტი—ნახატი ქეთინო ქევხიშვილისა, 10 წლის. თელავის რაიონი, სოფ. აკურა.

ჩემი ეზო—ნახატი თენგიზ ლომთაძისა, 8 წლის. ქუთაისი.

ხილი—ნახატი ეკა კირკიტაძისა, 6 წლის. ჭიათურა.

კახელი გოგო—ნახატი ზურაბ მეფელიოზეველისა, 6 წლის. სოღანღი.

ფეიერვერკი—ნანახი ბავშვურ რამაზ ჭეიშვილისა, 7 წლის. თბილისი.

ბომბორას სტუმარი

ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი აპალიანი

ერთი წიწილა კალიის დევნამ ისე გაიტაცა, რომ უცხო ეზოში ამოჰყო თავი. გაიხედ-გამოიხედა, თავისიანები რომ ვეღარ დაინახა, ძალიან შეშინდა. ბევრი იძახა წია-წიაო, მაგრამ ხმა არავინ გასცა. ამასობაში მზეც ჩავიდა.

ეზოს კუთხეში წიწილამ გოჭებიანი ღორი დაინახა: დედა ღორი არხეინად გაწოლილიყო. გოჭები შემოხვეოდნენ და ძუძუს წოვდნენ. წიწილა მივიდა და ღორს შესჩივლა:

— წია, წია! და-ძმანი და დედიკო დავკარგე, მარტო დავრჩი... ღამდება და ძალიან მეშინია, თანაც მცივა; მეც ჩაგეხუტები გოჭებთან ერთად... შეიძლება?

ღორმა დინგი აუქნია,—არაო.

გულგახეთქილმა წიწილამ ახლა ბოჩოლას მოჰკრა თვალი: წამოწოლილიყო, თვალები მოეხუჭა და მშვიდად იცოხნიდა.

— წია, წია! და-ძმანი და დედიკო დავკარგე. მარტო დავრჩი... ღამდება და ძალიან მეშინია, თანაც მცივა; ჩაგეხუტები, შეიძლება?

ბოჩოლამ თავი გააკანტურა და კუდი გააქნია,—არაო.

წიწილა აქეთ ეცა, იქით ეცა და ბომბორა დაინახა: საბძლის წინ გაწოლილიყო, წინა თათებზე დრუნჩი დაედო და თვლემდა.

— წია, წია! და-ძმანი და დედიკო დავკარგე, მარტო დავრჩი... ღამდება და ძალიან მეშინია, თანაც მცივა, ჩაგეხუტები, შეიძლება?

— არხეინად იყავი. ამ ეზოში ჩემს უნებართვოდ ბუზიც ვერ შემოფრინდება. აცოცდი ჩემს ზურგზე და იქ დაიბუდე, ხვალ კი ერთად ვეძიოთ შენიანები.

წიწილა ზურგზე შეაცოცდა, ძაღლმა თავისი ბომბორა კუდი გადააფარა, დაათბუნა.

მთელი ღამე არხეინად ეძინა, არც ციოდა და არც არაფრის შიში ჰქონდა, მაგრამ მაინც

და-ძმებთან და დედასთან ერჩია.

კარგად გათენებული არც იყო, რომ გულგახეთქილი კრუხი წიწილებიანად კრიახ-კრიახითა და ქოთქოთით ეზოში შემოვიდა.

წიწილა სიხარულით ცას ეწია, ბომბორასაც გაუხარდა. იგი ისევ საბძლის წინ იწვა, დრუნჩი წინა თათებზე დაედო და ალერსიანი თვალებით უყურებდა ეზოდან წიაქით მიმავალ კრუხ-წიწილას. თან სიამოვნებით კუდს აქიცინებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასაცილოა

საყურე

თამარ ჩხაიძე

— საყურე მინდა, საყურე მინდა!— დაიჩემა ერთ დღეს ლალიმ.

დედამ ოქროს საყურე შეაძლია:

— აჰა, ოლონდ ნუ ტირი!

— ასეთი არ მინდა!—უფრო ატირდა ლალი.

— აბა, როგორი გინდა?

— ბლის საყურე!

ორი თვალი

თინათინ ქვირიკაძე

— ბებო, წიგნი წამიკითხე, რა!— შეეხვეწა გია ბებოს.

— აბა, როგორ წაგიკითხო, ვკერავ!

— შენ ხომ ორი თვალი გაქვს, ერთით—კერე, მეორეთი—წაიკითხე!

უმაწვნო ზღაპარი

თინათინ ჯაფახიშვილი

პატარა ლელას დედა ძილის წინ ჯერ მაწონს სთავაზობს ხოლმე და მერე ზღაპარს უყვება.

— მაწონი ზღაპრის ამხანაგია, თუ მაწონი არ შეჭამე, ზღაპარს ვერ მოგიყვები.

ლელას მოსწყინდა მაწონი და ერთ საღამოს დედას შეეხვეწა:

— დედიკო, არ შეიძლება დღეს უმაწვნო ზღაპარი?!

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაბბარა

მელია ბლიაძე

ერთხელ პაპა ნიკო
სანადირად იყო,
მოჰკლა ერთი დათვი
და კურდღელი — ათი.

მგელი, ტურა, მელა —
სულ დახოცა ყველა...

ტყეში პაპა ნიკო —
მარტო კი არ იყო;
მონადირე პაპას
მეც ვშველოდი, აბა!..
მგელი საძაგელი
მოვკალ ცალი ხელით!

ჩვენი ცუგა

ლილი გაგოშიძე

პაპამ მე და გივის
მოგვიყვანა ცუგა,
შავცხვირა და მარდი
დარბის წინ და უკან.

ვითამაშეთ ბურთი,
დავაყენეთ კარში,
გააკვირვა ყველა
მოხუცი თუ ბავშვი.

გვასახელა ცუგამ,
არ გაუშვა გოლი.
გავიმარჯვეთ გუშინ
ოცდაერთით — ნოლი!



საჩუქარი

ნოდარ ქაქელიძე ნახატები ზურაბ მეძმარიაშვილისა

ერთ დღეს დედამ ყვავილებით მოჩითული საკაბე მოიტანა და ქეთინოს უთხრა:

— აი, შვილო, ჭკვიანად იყავი და ამ შაბათ-კვირას საზაფხულო კაბას შეგიკერავ!

— უჰ, რა კარგია! — ტაში შემოჰკრა ქეთინომ, — როდის მოვა ეს შაბათ-კვირა?

— სულ მალე!..

— ახლავე შემიკერე, რაა?

— ახლა არ მცალია.

— უუჰ! — ტუჩები აიბზუა ქეთინომ, იმ დღიდან თითებზე ითვლის დღეებს. წამდაუწუმ ბებოს ეკითხება:

— ბებო, არ მოვიდა შაბათ-კვირა?

— ორი დღე მოიცადე, შვილო.

— რა ნელა მიდიან ეს დღეები, რა ზარმაცები ყოფილან! — უკვირს ქეთინოს, — რატომ ჩემსავით არ გარბიან, აი ასე! — ქეთინო აივანზე იწყებს ბაკუნს.

კერვა ქეთინოსაც ემარჯვება, რამდენი კაბა შეუკერავს თოჯინებისათვის. გადმოიღებს პაწია საკერავ მანქანას, გვერდით ჭრელაჭრელა ნაჭრებს მოიწყობს და გაგიხარიათ, — კერავს და კერავს...

მართალია, ზოგჯერ ეშლება, ხან თავზე არ ეტევა თოჯინას კაბა, ხან კაბის კალთაა გრძელი, მაგრამ ეს არაფერი: მაკრატელი აქ არაა?! კრიჭ!—და მორჩა, კაბა მზადაა.

— მოდი,—ამბობს ქეთინო,—რა იქნება, კაბა თვითონ რომ შეკერო?

მეორე დღეს, ბებოს გარდა ყველა რომ გაიკრიფა შინიდან, ქეთინო საქმეს შეუდგა: კარადიდან მალულად გამოიღო საკაბე და თავისი ოთახისაკენ წაეცუნცულა. გაამზადა საკერავი მანქანა და გამოჭრა დაიწყო...

ბებო საქმეებით იყო გართული და დროდადრო თუ გასძახებდა:

— რას აკეთებ, შვილო?

— ვკერავ, ბებო!

— კერე, გენაცვალოს ბებო, კერე!

ქეთინომ საკაბე ჯერ ოთხად გაჭრა, მერე სახელოები და კაბის კალთები გამოჭრა და საკერავი მანქანაც აახმაურა.

საყელო ვიწრო მოუვიდა, მაგრამ რა ვუყოთ,—ქვეყნის ნაჭრები დაუხვავდა: მიაზომა, მოაზომა, საყელოც მოარგო და მიაკერა.

— ესეც ჩემი კაბა!

საღამოს ქეთინო კარებში მიეგება დედას:

— დედიკო, მე უკვე შევიკერე კაბა!—მიახარა და კაბა მოარბენინა.

— რას ამბობ, შვილო?—შეიცხადა დედამ და კარადა გამოაღო.

— ხომ მოგწონს?—გაიღიმა ქეთინომ.

გაოცებული ბებო ხან კაბას შეჰყურებდა, ხან—შვილიშვილს: ვერ მიმხვდარიყო, როდის მოასწრო ქეთინომ საკაბის გაფუქება.

— რა გიქნია, შვილო!—უსაყვედურა დედამ.

— არ მოგწონს?—აიბუზა ქეთინო,—მე კი მეგონა, გაგეხარდებოდა!..



ოსეი დრიზი

სასწორი

ათასნაირი მიზნისთვის
კაცის გონებამ შექმნა,
ათასნაირი სასწორი
იყო და არის ქვეყნად.

ერთი სასწორი მცირეა,
სწონის ვერცხლსა და ოქროს,
მეორე—ახალდაჭერილ
კარჩხანასა და ლოქოს.

მესამე—აფთიაქშია,
ფრთხილად სწონიან ფხვნილებს,
მეოთხე—ჩვრებში შეფუთულს
სწონის მუმუთა ჩვილებს.

მაგრამ ეს ჩემი მესუთე—
სხვა დანარჩენებს არ ჰგავს:
ჯერ თვალით არვის უნახავს,
ვერც ვერასოდეს ნახავს.

გასაოცარი რამ არის, —
მე მასზე ვწონი სიტყვას:
თუ აწონილი არ არის,
სიტყვა
არ უნდა ითქვას!

ვის რა რჩება, რას ვვიტოვებს

ვის რა რჩება,
რას ვვიტოვებს?
ვაშლი სწუდება
ვაშლის რტოებს,
თაფლს ფუტკარი
დავვიტოვებს,
ვაზი—ოქროს
აკიდოებს,
ცხვარი—მატყლს და
სელი—ბაწარს,
ოქროს ყანა—
ოქროს მარცვალს...
კაცი—ცხოვრობს,
კაცი—კვდება:
კაცს—სახელი
ქვეყნად რჩება!

წერილი

— ბენო,
კარგო ბენია,
ლოყა
გაგიბერია,
რას წერ!
მთელი ფურცელი
უკვე
დაგიწერია?!

— რას და, წერილს!
— მერე და,
ვის უგზავნი? დედას?!
— წერილს
ვის ვუგზავნიო?
ვის და,
ისევ ჩემ თავს!

— მერე,
შენ თავს საკუთარს
მაინც
რას სწერ, ბენია?!
— ეგ ვინ იცის,
მოვა და,
ვნახავთ,
შიგ რაც სწერია!



ხელები

ხელებს
რა არ შეუძლიათ,
დაილოცოს ხელები:
შეუძლიათ
საჯე მართონ,
გაგვაქროლონ ველები.

შეუძლიათ
ძაძის ხელებს
სასწაული გვაჩვენონ,
შეუძლიათ
თოები შესძრან,
ქალაქები აშენონ.

შეუძლიათ
დედის ხელებს
შრომა არანაკლები:
დაგვიკერონ
ნახძარი და,
შეგვიკერონ ახლები.

შეუძლიათ
ძლევის დროშა
ცაში ააფრიალონ,
შეუძლიათ
მოწონების
ტაში დაგვრიალონ...

ფანჯარაში ღამეა,
თოვარემ სვენებ-სვენებით
გადიარა ქალაქები,
ცინდვრები და სერები...
აბრეშუმის საბნისპირზე
ისვენებენ ხელები.

თარგმნა **მურმან ლებანიძემ**

ნახატები **ზურაბ ფორჩხიძისა**

ორი მიხო

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ნახატი ზურაბ ქაპანაძისა

მიხოს რომ მიხო ერქვა, მთელმა სოფელმა იცოდა, მაგრამ მის გარდა თუ სხვა მიხოც იქნებოდა, სულ არ ეგონა. ეს ამბავი კი გუშინ გაიგო, პაპამ შინ ახალი წალდი რომ მოიტანა.

— იყიდე?—იკითხა მიხომ.

— არა, მიხომ გააკეთა!—მიუგო პაპამ.

— მიხომაო?—გაოცდა პატარა მიხო.

— ჰო, მჭედელმა მიხომ!—თქვა პაპამ.

პატარა მიხოს ძალიან უნდოდა ენახა როგორ ჭედავდა მჭედელი მიხო წალდებს. შარაგზას სირბილით გაუყვა და სოფლის განაპირას სამჭედლოსთან ამოჰყო თავი. შესვლა კი ვერ შებედა,—კარებთან აიტუზა.

— რას დგეხარ გარეთ, კაცო, მოდი!—გამოსძახა მჭედელმა.

სამჭედლოში ყველაფერი ჭვარტლისფერი იყო, გარდა ქურაში მოგიზგიზე ცეცხლისა. მიხო ვერაფერს ხედავდა და კარისაკენ ფეხი გაუბედავად გადადგა. თვალი რომ მიაჩვია, მერეღა დაინახა: ცეცხლთან მჭედელი მიხო იდგა და ჯაჭვს ექაჩებოდა.

— რა გქვია, კაცო?—ჯაჭვისთვის ხელი არ გაუშვია, ისე ჰკითხა მეჭედელმა.

— მიხო!

— ბიჭოს, ჩემი სეხნია ყოფილა! მიხო, გინდა შენც დაუბერო საბერველს?

— მინდა!

მეჭედელმა ბიჭს ჯაჭვის ბოლო მისცა, თვითონ კი ნახშირს დაუწყო შექუჩება.

პატარა მიხომ ჯაჭვს მოსწია და საბერველმა ისე ამოიოხრა, ბიჭი შეკრთა. ცერად გადახედა, მაგრამ აქ საშიში არაფერი იყო,—საბერველი გარმონივით იფუკებოდა. ჯაჭვს რომ ხელი მიუშვა, საბერველმა დევივით ჩაისუნთქა ჰაერი, მერე ამოისუნთქა და ქურიდან უამრავი ნაპერწკლები ავარდა, ავარდა და რა ავარდა!—ნაპერწკლები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ბატიბუტივით ტკაცატკუცი გაუდიოდათ.

ნაპერწკლები რა არის! რაც მეტს ქშინავდა საბერველი, უფრო დიდი და კაშკაშა ცეცხლი ამოდიოდა ქურიდან.

კარგახანს ქშინავდა საბერველი.

პატარა მიხო კიდეც დაიღალა, შუბლზე ოფლმა დაასხა, მაგრამ არ იმჩნევდა.

— ეყოფა!—უცებ მოისმა მეჭედლის ხმა.

ბიჭმა ჯაჭვს ხელი შეუშვა. საბერველმა ხმა გაკმინდა. ცეცხლის ალიც თანდათან დაპატარავდა.

მეჭედელმა ცეცხლიდან გავარვარებული ბრტყელი რკინა ამოიღო, დადო გრდემლზე და ურო დასცხო, დიდხანს და სწრაფად ურტყამდა, სანამ თოხის პირი არ გამოჭედა.

მეჭედელმა თოხის პირი წყალში ჩაუშვა.

ამ დროს სამჭედლოში ვიღაც კაცი შემოვიდა.

მეჭედელმა წყლიდან თოხის პირი ამოიღო და გაუწოდა:

— მზად არის!

კაცმა თოხი შეათვალიერა, მოეწონა:

— აი, დაგელოცოს მარჯვენა, კარგი თოხის პირი გაგიკეთებია.

— მარტო რას გავაკეთებდი, აგე!—მიხოზე აჩვენა მეჭედელმა,—ისეთი ცეცხლი გააჩაღა, რომ...

— რას ამბობ, კაცო, აკი გამიკვირდა კიდეც...

— მაშ, მაშ!—დაჭკრა კვერი მეჭედელმა და სეხნიას მხარეზე ვეება ხელი გადაჰხვია,—სეხნიავ, ერთი კიდევ დაუბერე, შენს გაზრდას!

მიხომ ჯაჭვს ხელი ჩაავლო და ისე დაქაჩა, ლამის ჩამოწყვიტა.

თოხის პატრონი კი შინისაკენ მიდიოდა და ვინც წინ შემოხვდებოდა, ყველას ეუბნებოდა: ეს თოხი უბრალო არ გეგონოთ,—ორმა მიხომ გამოჭედეო.

ბარაქალა, ბარაქალა...

თენგიზ ლორთქიფანიძე

— ერთი თათი, ორი თათი,—
თვლას ასწავლის ბელებს დათვი,—
თუ დაითვლი თათებს სწორად,
შაქარს მოგცემთ ერთი-ორად.

ერთმა ბელმა თვლა არ იცის
და არც უყვარს ანგარიში,
დაეკიდა ნამცის ტოტზე
და გაერთო ტანვარჯიშით.

მეორემ კი თვალა, თვალა,
ოთხი თათი დაითვალა.
დათვი ამბობს სიხარულით:
— ბარაქალა, ბარაქალა.

ნახატი ედ. აბგრალისა



მიიმღერის ზღარბი,
მიდის ნელა-ნელა,

უცებ შეხვდა კოღო,
დაუპირა კბენა,—

დაიბურთა ზღარბი,
დაიმშვიდა გული,

ზღარბის ზურგზე კოღომ
განუტევა სული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყიჩამალა

ბავშვებო! ამ განყოფილებას „ყიჩამალა“ იმიჯომ დავარქვით, რომ აქ დაბეჭდილ მოთხრობებში, ზღაპრებსა და ლექსებში ყველაფერი შებრუნებით იქნება დაწერილი. აბა, სად გაგონილა, მამალს მელიის კუდი კქონდეს, მელიას კი—მამლის ბოლო!

იპოვეთ შეცდომები ამ მოთხრობაში და გაასწორეთ.

სალამო ქალაქში

ლევან ჩანჭლაძე

დილაადრიანად მთვარემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, კახამ ცხვირი გაახილა და იდაყვებით ამოისრისა. ფანჯარაში მოჩანდა ღობეზე შესკუპებული ხბო, რომელიც თვალდახუჭული გაიძახოდა ყიყლიყოს. ხის ტოტზე შემომჯდარი მურია საცოდავად კნაოდა, ხის ძირას ფისო შემდგარიყო უკანა ფეხებზე და ბრაზიანად უყეფდა მურიას. ბოსელში ძროხას კვერცხი დაედო და ხმამაღლა კაკანებდა. ქათამი ბალახს ძოვდა. კახას პაპა «ჯუ-ჯუ, ჯუ-ჯუ“-ს იძახდა და კალათიდან სიმინდს მუჭა-მუჭა უყრიდა გარშემოხვეულ ლეკვებს. ჩიჩახვდაბერილი გოჭები გაფხორილები დააბიჯებდნენ და ფრთებით მიწას ხაზავდნენ.

კახამ საბანი გაიხადა, ხელებზე ფეხსაცმელები ჩაიცვა, უთო ჩართო და დილის გამამხნევებელ ვარჯიშს შეუდგა მუსიკის ხმაზე, უთოდან რომ ისმოდა.

ვარჯიშის შემდეგ პირსაბანთან მივიდა, სველი ჯაგრისით ტანი დაიზილა, სავარცხლით კბილები გაიხეხა, ჩანთა აიღო და მხიარული სიმღერით ბოსლისაკენ გასწია.

ნაბატი თ. ჩირინაშვილისა

დათვი, მელია და მგელი

ქ. გოგიაშვილი — ზ ღ ა პ ა რ ი — ნახატები დიმიტრი ზარაფიშვილისა

დათვმა, მელიამ და მგელმა ტყეში თავი მოიყარეს და თქვეს:

— მოდი, დავძმობილდეთ, რასაც ვიშოვით, ძმურად გავიყოთო.

— ძალიან კარგი, მაგრამ ახლა რომ მშიაო,— თქვა მელიამ.

— შიმშილით მეც კუჭი მეწვისო,—დაუმატა მგელმა.

— ოჰ, ახლა ნეტავ თაფლით გამაძღოო,— ინატრა დათვმა.

— წილი ვყაროთ, ვისაც ეს რკო შეხვდეს, საკმლის საშოვნელადაც ის წავიდესო,—წამოიწყო მელამ.

— კი, ბატონოო,—დეთანხმნენ დანარჩენებიც.

ჰყარეს წილი და რკო მელიას შეხვდა.

მეტი რა გზა იყო, მელია გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, წანწალისაგან დაიღალა და ტყის პირას შეისვენა. ხედავს, გზაზე საბარგო მანქანიდან ფეხებშეკრული ბატი ჩამოვარდა, ეცა, გაარბენინა ტყეში, მადიანად მიაძღა და ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა მეგობრებთან.

— რა ჰქენი, მელაკუდაო?—ჰკითხეს.

— ვერაფერი ვერ ვიშოვეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშ, ეს ბუმბული რა არის, ღრანჭში რომ დაგრჩენიაო,— უთხრა მგელმა.

— აგერ, თათი გაიშვირა მელიამ,—სოფლის კორტოხზე რომ სახლი მოჩანს, იქ ერთმა დედაკაცმა ბატი მაჩუქაო.

— რისთვისო?—ჰკითხა დათვმა.

— მინდვრის თაგვები რომ გავწყვიტე, ამისათვის ძღვნად მომართვაო.

— რატომ აქ არ მოიტანეო?

— ის ბატი მე მაჩუქეს და აქ რისთვის მოვიტანდი. წადი,—უთხრა მგელს,—შენც თხოვე და მაგისთვის როგორ გაწყენინებსო.

გაბრიყვდა მგელი და წავიდა. დანაყრებული მელაკუდა ხის ძირას წამოკოტრიალდა. თათი თავქვეშ ამოიდო და ხვრინვა ამოუშვა. მშიერი დათვი კი სულმოუთქმელად ელოდა მგლის გამოჩენას.

ქეთინო

ანდრო თევზაძე

ჩემო კარგო ქეთინო,
ჭკვიანო და კეთილო,
მამას ყური დაუგდე,
გაუგონე დედიღოს,
თუ გსურს შენი სიკარგე
ყველას გავაგებინო!

ცოტა ხნის შემდეგ თავპირდასისხლიანებული მგელი ღრიალითა და კმუილით დაბრუნდა. ხმაურზე ფრთხილი მელაკუდა წამოხტა და შორიახლო ჩაცუცქდა.

— რა მოგივიდა, მგელოო?

— თქვენს მტერს, რაც მე მომივიდა. იმ სახლს მივუახლოვდი თუ არა, გამომენთო ერთი ბომბორა ნაგაზი და რაც დამმართა, თქვენც კარგად ხედავთ. სულ ამ მატყუარას ბრალიაო,—წამოიძახა მგელმა და თვალები გადაბრიალა. მაგრამ მელია უკვე გაპარულიყო.

— ახლა, შენი რიგია, იქნებ შენ მაინც იშოვნო რამეო,—უთხრა დათვს.

— არა, ძმაო, თქვენთან მეგობრობა არ გამომადგებაო,—ჩაიბურდღუნა დათვმა და თავისი გზით წავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოსტალგია









ჩანგალი

ირინე უშვერიძე

* * *

თოჯინა მყავს თმიანი,
ოქროსნაწნავიანი.
მივუტანე კისელი,
მოიღრიცა კისერი.
არ იკადრა ფაფა,
რა მივართვა, აბა?!.

* * *

ჰუპა, ჰუპა, ჰუპა,
საპონი და წყალი.
ისე უნდა გაგკრიალდე,
ჩემზე დარჩეთ თვალი.



გამოცანა

როსპომ ელანიძე

ერთი რვაფეხა მწერია,
სხვა მწერებს უგებს მახეს,
ვინ გამოიცნობს, რა არის,
ვინ იტყვის იმის სახელს?!

უმაღური კურდღელი

ნოდარ შუბანაძე

კურდღელს ჰქონდა ჭარხლის თესლი
და დათესვა ინება;
თესა, თესა, ვერ დათესა,
დაუთესა ირემმა.
ახარებდა კურდღელს ყანა
და გათოხნა ინება;
თოხნა, თოხნა, ვერ გათოხნა,
გაუთოხნა ირემმა.
კურდღელს უყვარს ჭარხლის ჭამა,
სულ კბილები ილესა;
ჭამა, ჭამა, სულ შეჭამა,
არ აჭამა ირემსა!

ხათუნა

გიორგი გიგაური

გამოაცხო ხათუნამ,
ხაჭაპური ხატული,
— რა ძარჯვე ხარ,
რა კარგი,—
ეფერება ბებია,
არაფერი ჯერ ასე,
მე არ გამხარებია.



კაჭა და ბელურები







მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი.

სარედაქციო კოლეგია: აკაკი გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა, იორამ ქემმერელიძე (პ/მგ. მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე.

საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი.

ყდაზე ნახატი გიორგი როინიშვილისა | გამოცემის 42-ე წელი. | ტექრედაქტორი ბ. როინიშვილი

რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: 93-41-30, 93-94-73. | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გადაეცა ასაწყობად 11/III-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VI-69 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5

ტირაჟი № 779 ტირაჟი 131.800. საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ფასი 20 კაპ.

«Дидо» № 6. на грузинском языке. Типография изд-ва ЦК КП Грузии, ул. Ленина, 14.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა Издательство ЦК КП Грузии

რა ლამაზი დღეა

6. 108/ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჟი ძნელაძე

რა ლამაზი მზეა!
რა ლამაზი მზეა!
მივესალმოთ, ჩამოვართვათ ხელი;
ყველაფერი ბრწყინავს,
ყველაფერი ელავს,
ყველაფერი სიხარულით მღერის!..

აფრენილა,
დაფრენილა,
ჩემი მტრედი გაფრენილა,
შენი მტრედი შეხვედრია გზაში...
გადაფრინდი ჩემო მტრედო,
სიტყვა უთხარ საიმედო,
თუ სადმეა ბოწყენილი ბავშვი!..

რა ლამაზი დღეა!
რა ლამაზი დღეა!—
ოქროს წყალში ლივლივებენ ხენი;
ყური უგდეთ, ყური—
პაწაწინა გული
სალხინოს და სამშვიდობოს მღერის!..

აფრენილა,
დაფრენილა,
ჩემი მტრედი გაფრენილა,
შენი მტრედი შეხვედრია გზაში...
იფართქალე თეთრო მტრედო,
გაახარე ჩვენი ერდო,
იღუღუნე ავდარში და დარში!..

76055